კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024 წელი

სამართლის ფაკულტეტი

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

0421.1.1

მოდიფიცირებული პროგრამა

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე

ოქმი N 01-2024

17 აპრილი, 2024 წელი

აკადემიური საბჭოს დადგენილებით

N 01-2024

17 აპრილი, 2024 წელი

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება
სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა Bachelor's education program in Law
უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური
ბაკალავრიატი
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი
აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა (რეგულირებადი)
ფართო სფერო
ბიზნესი, ადმინისტრირება და სამართალი
ვიწრო სფერო
სამართალი
დეტალური სფერო
სამართალი
სწავლის სფერო
სამართალი
სწავლის ხანგრძლივობა
სწავლების ხანგრძლივობა 8 სემესტრი (4 სასწავლო წელი)
სწავლების ფორმა
დასწრებული
პროგრამის მოცულობა კრედიტებით
240 ECTS კრედიტი.
მისანიჭებელი კვალიფიკაცია
სამართლის ბაკალავრი **Bachelor of Laws (LLB)**
სწავლების ენა
საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე

პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი

გურამ ღვინჯილია, სამართლის დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვთ სრული ზოგადი განათლების ატესტატის მქონე საქართველოს მოქალაქეებს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე უნივერსიტეტში სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა დასაშვებია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“, მუხ. 52).

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა დასაშვებია სწავლების პირველი აკადემიური წლის დასრულების შემდეგ. მობილობა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის აქტით დამტკიცებული სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გადაწყვეტილების/თანხმობის საფუძველზე.

პროგრამის მიზანი

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს:

- შესძინოს ფართო თეორიული ცოდნა ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, სამართლის არსის, პრინციპებისა და ინსტიტუტების, აგრეთვე ზოგადსამართლებრივი პრინციპების, ფასეულობებისა და ღირებულებების შესახებ;
- შესძინოს ფართო ცოდნა საჯარო, კერძო, სისხლის და საერთაშორისო სამართლის სფეროში;
- გამოუმუშავოს შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, სამართლებრივ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების, გადაწყვეტილების დასაბუთების, იურიდიული ხასიათის დოკუმენტებზე მუშაობის უნარი;
- გამოუმუშავოს მრავალმხრივი ხედვისა და ანალიზის საფუძველზე საჯარო, კერძო, სისხლის და საერთაშორისო სამართლის სფეროში არსებული სამართლებრივი პრობლემის გადაწყვეტის თეზისის განვითარების, შერჩეული მიდგომის დასაბუთების და შესაბამისი დასკვნის ჩამოყალიბების უნარი;
- გამოუმუშავოს მშობლიურ ან/და უცხო ენებზე საჭირო ინფორმაციის, საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკის, მეცნიერების სიახლეების მიდევნებისა და მოძიების, ცოდნის განახლებისა და სწავლის უნარი, ასევე მოძიებული ინფორმაციის თაობაზე, იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით, ზეპირი და წერილობითი ფორმით კომუნიკაციის უნარი;
- გამოუმუშაოს სამართლის სფეროში პრაქტიკული საქმიანობისას სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების დაცვის, პროფესიული ეთიკისა და სამართლებრივი ღირებულებების დასამკვიდრებლად სწრაფვის უნარი.

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული

აღწერს:

- სამართლის არსს, ნიშნებს, ფუნქციებს, ძირითად პრინციპებს და მათ მნიშვნელობას სამართლებრივი სისტემის ფორმირებისათვის, სამართლებრივ სისტემებს, სამართლებრივი მოწესრიგების მეთოდებსა და სტადიებს, განმარტების მეთოდებს, სამართლის ნორმის სტრუქტურას და სახეებს, ქართული სამართლის სისტემის ძირითად თავისებურებებს, პრინციპებსა და ინსტიტუტებს, სამართლებრივი ურთიერთობის ელემენტებს, სამართლის ნორმის შეფარდების სტადიებს, ქართული სამართლის ისტორიულ წყაროებს, რომის სამართლის წყაროებს და ინსტიტუტებს;
- სახელმწიფო მოწყობის ძირითად პრინციპებს და ეროვნული მოდელის თავისებურებებს, ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებს, ადამიანის ძირითად უფლებებს და თავისუფლებებს, ადმინისტრაციული სამართლის პრინციპებს, ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის ფორმებს და ადმინისტრაციული წარმოების სახეებს, საგადასახადო სამართლის წყაროებს და საგადასახადო-სამართლებრივ ურთიერთობებს, საკონსტიტუციო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების სტადიებს და თავისებურებებს;
- კერძო სამართლის სისტემას, სამოქალაქო სამართლის ცნებებს, სანივთო სამართლის სისტემას და პრინციპებს, სახელშეკრულებო და კანონისმიერ ვალდებულებით ურთიერთობებს, საოჯახო და მემკვიდრეობით სამართლებრივ ურთიერთობებს, საერთაშორისო კერძო სამართლებრივ ურთიერთობს, სამეწარმეო თავისუფლებისა და შრომის უფლების დაცვის ეროვნულ მექანიზმებს, ასევე სამოქალაქო სამართალწარმოების სტადიებს და თავისებურებებს;
- სისხლის სამართლის არსს და პრინციპებს, დანაშაულის არსს და სახეებს, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებებს, სასჯელთა სისტემას, სისხლის სამართალწარმოების ძირითად პრინციპებს, სტადიებს და თავისებურებებს, ასევე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თავისებურებებს;
- საერთაშორისო საჯარო სამართლის ძირითად პრინციპებს და ინსტიტუტებს, საერთაშორისოსამართლებრივი პასუხისმგებლობების თავისებურებებს.

განსაზღვრავს:

- სამართლებრივი დავის წარმოშობის მიზეზებს და მათი სამართლებრივი საშუალებებით გადაწყვეტის გზებს.

უნარი

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

- ახდენს მიღებული ცოდნის საფუძველზე სამართლის სფეროში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებას და შეიმუშავებს მათი გადაწყვეტის გზებს;
- ადგენს სამართლებრივ დოკუმენტებს;
- აანალიზებს და იყენებს სამართლის ნორმებს იურიდიული მოქმედებების განხორციელების მიზნით;
- შეიმუშავებს დავის გადაწყვეტის სტრატეგიას და ტაქტიკას ეთიკის ნორმების გათვალისწინებით;

- აანალიზებს სამართლის სფეროში არსებულ პრობლემებს, ავითარებს მათი გადაწყვეტის გზებს, აყალიბებს დასაბუთებულ დასკვნებს, მსჯელობს სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან ზეპირი და წერითი ფორმით, მშობლიურ ან/და უცხო ენაზე; შეიმუშავებს დავის გადაწყვეტის სტრატეგიას და ტაქტიკას ეთიკის ნორმების გათვალისწინებით.
- მოიძიებს სამართლის წყაროებს, საკანონმდებლო ცვლილებებს, სასამართლო პრაქტიკას, სამეცნიერო სიახლეებს.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

- მონაწილეობს სამართალწარმოების პროცესში სამართლებრივი ღირებულებების გათვალისწინებით და იურისტის ეთიკური და პროფესიული ქცევის ნორმების ფარგლებში, პატივს სცემს ადამიანის უფლებებს;
- წარმართავს საკუთარი და სხვების განვითარებაზე ორიენტირებულ საქმიანობას, ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის ძირითადი პრინციპების დაცვით;
- ავლენს ცოდნის განახლების უნარს.

პროგრამის სტრუქტურა

სამართლის საბაკალავრო პროგრამის ელემენტები (240 ECTS)

(A) საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები - **12 ECTS**
(B) საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსები - **10 ECTS**
(C) ინგლისური ენის (მათ შორის პროფესიული ინგლისურის) მოდულები - **20 ECTS**
(D) სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - **148 ECTS**
(E) სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - **30 ECTS**
(F) პრაქტიკული უნარების სავალდებულო კომპონენტი - **20 ECTS**

სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები (148 ECTS)

(A) მოდული - **სამართლის საფუძვლები - 16 ECTS**
(B) მოდული - **საჯარო სამართალი (I) - 44 ECTS**
(C) მოდული - **კერძო სამართალი (I) - 58 ECTS**
(D) მოდული - **სისხლის სამართალი (I) - 30 ECTS**

სწავლება-სწავლის მეთოდებისას გამოსაყენებელი აქტივობები

სწავლება-სწავლის მეთოდი მოიცავს სხვადასხვა აქტივობებს. სწავლება-სწავლის პროცესში გამოყენებული აქტივობები ერთმანეთს ავსებს და ერთმანეთში გადადის. სწავლება-სწავლის პროცესში, თითოეულ სწავლის შედეგთან მიმართებით, გამოიყენება შემდეგი აქტივობები:

ცოდნა და გაცნობიერება

წიგნზე მუშაობა;
წერითი მუშაობა - რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის, ან ესეს შესრულება და ა.შ.
ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი

- სწავლების ინდუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან ზოგადისაკენ, ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას, პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.
- სწავლების დედუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.
- სასწავლო პროცესში ანალიზის მეთოდი გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, ამით მარტივდება რთული პრობლების შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.
- სინთეზის მეთოდი გულისხმობს შებრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლების, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას.

ვერბალური ახსნა–განმარტება - ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას, მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.
დემონსტრირება – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მიეწოდოს სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს.
პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) - სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას.
შემთხვევის ანალიზი (Case study) - პროფესორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს, რომლებიც ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს. მაგალითად, კაზუსის ამოხსნა.
გონებრივი იერიში (Brain storming) - ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და მისი გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედგება რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

- პრობლემის/საკითხის შემოქმედებითი კუთხით განსაზღვრა;
- დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად, დაფაზე);
- გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას ავლენს დასმულ საკითხთან;
- კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა;
- შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით;
- უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

და სხვ.

უნარი

ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება (lBD) – მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

როლური და სიტუაციური თამაშები - სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მას ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.

შემთხვევის ანალიზი (Case study) - პროფესორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს, რომლებიც ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს. მაგალითად, კაზუსის ამოხსნა.

გონებრივი იერიში (Brain storming) - ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და მისი გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედგება რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

- პრობლემის/საკითხის შემოქმედებითი კუთხით განსაზღვრა;
- დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად, დაფაზე);
- გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას ავლენს დასმულ საკითხთან;
- კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა;
- შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით;
- უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

ევრისტიკული მეთოდი - ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.

თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება - იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. თითოეული ჯგუფის წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.

გუნდური მუშაობა - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

ანალიზი;

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) - სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას.

დისკუსია/დებატები – დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია (ზეპირი, Power Point და სხვა).

პრაქტიკული მეთოდები.

და სხვ.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

დამოუკიდებელი სწავლა (ესეს, რეფერატის, პროექტის, მოხსენების მომზადება);
პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) - სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას.
დისკუსია/დებატები – დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს. პრაქტიკული მეთოდები.
და სხვ.

კონკრეტული სასწავლო დისციპლინის შინაარსისა და სპეციფიკის გათვალისწინებით ხდება კურსის სწავლების მეთოდების შერჩევა, რაც შესაბამისი დისციპლინის სილაბუსში აისახება.

სწავლების პროცესში შესაძლებელია ამა თუ იმ მეთოდისთვის პრიორიტეტის მინიჭება სასწავლო კომპონენტის სპეციფიკიდან და თავისებურებებიდან გამომდინარე, რადგან სწავლებისას გამოყენებული მეთოდების შერჩევა მიმართულია სწავლების აქტივიზებაზე, შემეცნებითი საქმიანობის განვითარებაზე და სტიმულირებაზე, სასწავლო პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობაზე.

სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კომპონენტის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს:

- შუა სემესტრულ შეფასებას;
- მისი დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას;
- დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

სტუდენტების ცოდნის შეფასებისათვის გამოიყენება როგორც ზეპირი, ასევე წერითი (ტესტი, კაზუსი, ღია კითხვები, ესსე და ა.შ) გამოკითხვა. ცალკეული სასწავლო კურსები, შეიძლება ითვალისწინებდეს საშინაო დავალების მომზადებას და მის პრეზენტაციას ან იმიტირებულ სასამართლო პროცესში მონაწილეობას.

პროგრამის განხორციელებისას და სასწავლო კურსის სწავლებისას სტუდენტის მოსწრება ფასდება ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) და **„უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.**

უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა შეფასების 100-ქულიანი სისტემა.

სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაოს საბოლოო შეფასება ითვალისწინებს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასებებს. შუალედური შეფასება შეიძლება მოიცავდეს ყოველკვირეულ მიმდინარე შეფასებებს და შუალედური გამოცდის შეფასებას, ან მხოლოდ შუალედური გამოცდის/გამოცდების შეფასებას. თითოეულ ელემენტს თავისი პროცენტული წილი აქვს შეფასების საერთო სისტემაში.

ყოველკვირეული მიმდინარე შეფასების მიღება სტუდენტს შეუძლია ლექციებსა და სამუშაო ჯგუფში, სემინარებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებზე აქტიურობით, საშინაო დავალებების შესრულებით, იმიტირებულ პროცესებში მონაწილეობით, რეფერატების მომზადებითა და პრეზენტაციებით, ინდივიდუალური თუ ჯგუფური პროექტების მომზადებითა და პრეზენტაციით და ა.შ.

ყოველკვირეულ **მიმდინარე შეფასებებში სტუდენტს შეუძლია 40 ქულის დაგროვება.**

თითოეულ საგანში შუალედური გამოცდა ტარდება სემესტრში ერთხელ და ფასდება max. - 20 ქულით.

კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია შუალედური შეფასების ელემენტში შემავალი კომპონენტების დაზუსტება. კომპონენტების შინაარსსა და ხვედრით წილს განსაზღვრავს სასწავლო კურსის წამყვანი ლექტორი.

შუალედურ შეფასებებში სტუდენტმა სულ შეიძლება დააგროვოს მაქსიმუმ 60 ქულა;

შუალედური შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 25 ქულის ტოლია;

დასკვნითი გამოცდა სავალდებულოა. შეფასების სისტემაში მისი ხვედრითი წილი max. - 40 ქულაა.

დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 16 ქულის ტოლია.

დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის ქულების ჯამით უგროვდება მინიმუმ 51 ქულა.

შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახულია ყოველი სასწავლო კურსის სილაბუსში. ინფორმაცია შეფასების სისტემისა და კომპონენტების შესახებ ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის.

ცოდნის შეფასების ფორმები და კრიტერიუმები:

მაქსიმალური დადებითი შეფასებაა 100 ქულა, მინიმალური დადებითი შეფასება - 51 ქულა.

1. ყოველკვირეული შეფასებები (ლექციებსა და სამუშაო ჯგუფში მუშაობა), საშინაო დავალების მომზადება და პრეზენტაცია, იმიტირებულ სასამართლო პროცესში მონაწილეობა და ა.შ. - **40 ქულა;**

2. შუალედური გამოცდა – **max. 20 ქულა;**

3. დასკვნითი გამოცდა – **max. 40 ქულა;**

4. **საბოლოო შეფასება – max. 100 ქულა.**

დადებით შეფასებად ითვლება:

(A) - ფრიადი - 91-100 ქულა;
(B) - ძალიან კარგი - 81-90 ქულა;
(C) - კარგი - 71-80 ქულა;
(D) - დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა;
(E) - საკმარისი - 51-60 ქულა.

უარყოფით შეფასებად ითვლება:
(FX) - ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით იმავე სემესტრში დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

(F) - ჩაიჭრა - 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტს, რომელმაც ვერ ჩააბარა დასკვნითი გამოცდა და დაიმსახურა **(FX) შეფასება, დამატებით გამოცდაზე** გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში, **დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.**

უნივერსიტეტში სტუდენტის აკადემიური მოსწრების დონე განისაზღვრება, როგორც სასწავლო კურსებში მიღებული ქულებით, ასევე **აღნიშნული ქულების 4 ბალიანი ექვივალენტით - საშუალო აკადემიური შეფასებით (GPA).**

აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომის გაცემა

საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულისათვის კვალიფიკაციის მინიჭება ხდება **საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“ შესაბამისად.**

საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება სამართლის ბაკალავრის კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი და ეძლევა შესაბამისი საბაკალავრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი სახელმწიფო ნიმუშის დიპლომი, სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნიმუშის დანართთან ერთად.

ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობაა სტუდენტის მიერ 240 ECTS კრედიტის დაგროვება.

საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულთა დიპლომის კატეგორიის განსაზღვრისათვის სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ გაიანგარიშება კუმულატიური GPA, რის მიხედვითაც უნივერსიტეტი კურსდამთავრებულებს აძლევს საბაკალავრო პროგრამის გავლის დამადასტურებელი შემდეგი ხარისხის სახელმწიფო ნიმუშის დიპლომს, სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნიმუშის დანართთან ერთად:

- **წარჩინების დიპლომი - GPA 3.5** და მეტი კომპეტენციის მაღალი დონით და ცოდნის შემოქმედებითად გამოყენების უნარით;
- **ჩვეულებრივი დიპლომი** - ყველა საგანში დადებითი შეფასება და **GPA 3.5 -ზე ნაკლები.**

დიპლომის კატეგორიის შეცვლის მიზნით სტუდენტმა შეიძლება ისარგებლოს საგნის გადაბარების უფლებით, მაგრამ არაუმეტეს სამი საგნისა.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია, სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის სპეციალისტისა და მკვლევარის მომზადებაზე.

კურსდამთავრებულს ასევე შეუძლია სწავლა გააგრძელოს ნებისმიერი მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე, თუ ამ პროგრამაზე მიღების წინაპირობა არ არის შეზღუდული სხვა სპეციალობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხით.

დასაქმების სფერო და საქმიანობის სახეები

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შესაძლებლობა ექნება იმუშაოს ნებისმიერ იმ თანამდებობაზე, სადაც მოითხოვება სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და არ არის აუცილებელი სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება ან/და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებითი წინაპირობები.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული იურიდიული საქმიანობის განსახორციელებლად შეიძლება დასაქმდეს:

- საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებში;
- სასამართლო ორგანოებში;
- სამართალდამცავ და სხვა მაკონტროლებელ ორგანოებში;
- კორპორაციულ სტრუქტურებში;

- საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში ან სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) ორგანიზაციებში.

ბაკალავრს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში როგორც პროკურორმა, ადვოკატმა, გამომძიებელმა, მოსამართლის თანაშემწემ (საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით), სასამართლო სხდომის მდივანმა; იყოს ნოტარიუსი, ნოტარიუსის თანაშემწე (საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით). მისი საქმიანობის სახეს წარმოადგენს ასევე სამართალშემოქმედებითი საქმიანობა; ორგანიზების, მმართველობით გადაწყვეტილებათა მომზადების სამართლებრივი ასპექტები; იურიდიული შინაარსის დოკუმენტების (ნორმატიული აქტის პროექტის, ხელშეკრულების, საჩივრის, სარჩელის და ა. შ.) შედგენა; ადამიანის უფლებების დაცვა და განმტკიცება; კვალიფიციური იურიდიული კონსულტაციის გაწევა.

კომპეტენციათა რუკა

№	საგნის კოდი	საგანი	კომპეტენციები		
			ცოდნა და გაცნობიერება	უნარი	პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა
		საუნივერსიტეტო სასწავლო კურსები			
1.	UNIV005	კომპიუტერული უნარები		X	
2.	UNIV006	წერის უნარები	X	X	
3.	UNIV009	საქართველოს ისტორია	X	X	
		საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსები			
4.	UNIV007	ფილოსოფიის საფუძვლები	X	X	
5.	UNIV008	მსოფლიო ცივილიზაციების ისტორია	X	X	
6.	UNIV076	ამერიკული ლიტერატურა (კოლონიალური საწყისებიდან დღემდე)	X	X	
7.	UNIV018	პოლონური ენა -1	X	X	
8.	UNIV070	ესპანური ენა-1	X	X	
9.	UNIV012	ფსიქოლოგიის საფუძვლები	X	X	
10.	UNIV014	კავკასიის ხალხთა ყოფა და კულტურა	X	X	
11.	UNIV016	საქმიანი ურთიერთობები და ეტიკეტი	X	X	
12.	UNIV017	ინფორმაციის დამუშავების კომპიუტერული ტექნოლოგიები		X	
13.	UNIV019	პოლონური ენა -2	X	X	
14.	UNIV070	ესპანური ენა-2	X	X	
		მოდული - უცხოური (ინგლისური) ენის მოდული			
15.	UNIV001/ UNIV055	ინგლისური ენა - 1/ ინგლისური ენა -1 დამწყებთათვის	X	X	
16.	UNIV002/ UNIV056	ინგლისური ენა - 2/ ინგლისური ენა -2 დამწყებთათვის	X	X	
		პროფესიული ინგლისური იურისტებისთვის			
17.	BLAW065	პროფესიული ინგლისური იურისტებისთვის - 1	X	X	
18.	BLAW059	პროფესიული ინგლისური იურისტებისთვის - 2	X	X	
		სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების მოდულები			
		მოდული - სამართლის საფუძვლები			
19.	BLAW001	სამართალმცოდნეობის შესავალი	X	X	
20.	BLAW002	რომის სამართალი	X	X	
21.	BLAW004	ქართული სამართლის ისტორია	X	X	
		მოდული - საჯარო სამართალი - I			
22.	BLAW060	შესავალი საკონსტიტუციო სამართალში	X	X	
23.	BLAW005	საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი	X	X	
24.	BLAW006	ადამიანის ძირითადი უფლებები	X	X	X
25.	BLAW007	ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი	X	X	
26.	BLAW008	ადგილობრივი თვითმმართველობის (მუნიციპალური) სამართალი	X	X	

27.	BLAW009	საერთაშორისო საჯარო სამართალი	X	X	X
28.	BLAW071	საკონსტიტუციო კონტროლი და მართლმსაჯულება	X	X	X
29.	BLAW011	ადმინისტრაციული სამართლის პროცესი	X	X	X
30.	BLAW031	საგადასახადო სამართლის საფუძვლები	X	X	X
		მოდული - კერძო სამართალი - II			
31.	BLAW012	სამოქალაქო სამართლის შესავალი	X	X	
32.	BLAW013	სანივთო (ქონებრივი) სამართალი	X	X	
33.	BLAW014	ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი	X	X	
34.	BLAW015	სახელშეკრულებო სამართალი	X	X	X
35.	BLAW016	კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები	X	X	
36.	BLAW017	საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი	X	X	X
37.	BLAW018	სამოქალაქო სამართლის პროცესი (ნაწილი I)	X	X	X
38.	BLAW019	სამოქალაქო სამართლის პროცესი (ნაწილი II)	X	X	X
39.	BLAW020	საკორპორაციო სამართალი	X	X	X
40.	BLAW021	შრომის სამართალი	X	X	X
41.	BLAW043	საერთაშორისო კერძო სამართალი	X	X	
		მოდული - სისხლის სამართალი - I			
42.	BLAW022	სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი)	X	X	
43.	BLAW023	სისხლის სამართლის კერძო ნაწილი I (ადამიანისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული)	X	X	
44.	BLAW024	სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II (დანაშაულის სხვა სახეები)	X	X	
45.	BLAW025	სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილი)	X	X	
46.	BLAW026	სისხლის სამართლის პროცესი (კერძო ნაწილი)	X	X	X
47.	BLAW067	არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება	X	X	X
		სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების მოდულები			
		მოდული - საჯარო სამართალი - II			
48.	BLAW070	ადმინისტრაციული სამართალდარღვევები	X	X	X
49.	BLAW062	აღსრულების სამართალი	X	X	
50.	BLAW029	სამოხელეო სამართალი	X	X	X
51.	BLAW033	საარჩევნო სამართალი	X	X	X
52.	BLAW061	პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართალი	X	X	X
53.	BLAW076	სამშენებლო სამართალი	X	X	
54.	BLAW032	ნორმატიული აქტები და საკანონმდებლო ტექნიკა	X	X	
55.	BLAW072	კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა საჯარო სამართალში	X	X	
56.	BLAW084	ფარმაცევტული სამართალი	X	X	X
		მოდული - საერთაშორისო სამართალი			
57.	BLAW034	ევროპული კავშირის სამართალი	X	X	X
58.	BLAW036	საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი	X	X	
59.	BLAW037	საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი	X	X	
60.	BLAW040	დიპლომატიური და საკონსულო სამართალი	X	X	
61.	BLAW073	კიბერუსაფრთხოების სამართალი	X	X	
62.	BLAW080	საერთაშორისო საჰაერო სამართალი	X	X	
63.	BLAW081	საერთაშორისო არბიტრაჟი	X	X	X
		მოდული - კერძო სამართალი - II			
64.	BLAW041	საბანკო სამართლის საფუძვლები	X	X	X
65.	BLAW044	გადახდისუუნარობის სამართალი	X	X	
66.	BLAW045	ფასიანი ქაღალდების ბაზრის სამართალი	X	X	
67.	BLAW047	სანოტარო სამართალი	X	X	X
68.	BLAW074	კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა კერძო სამართალში	X	X	

69.	BLAW075	ხელშეკრულების შედგენის მეთოდიკა კერძო სამართალში	X	X	
70.	BLAW083	სამართლის დიგიტალიზაცია	X	X	X
71.	BLAW082	ინტერნეტ-სამართალი	X	X	X
		მოდული - სისხლის სამართალი - II			
72.	BLAW063	საადვოკატო საქმიანობა - დაცვის ხელოვნება	X	X	X
73.	BLAW064	საპროკურორო სამართალი	X	X	X
74.	BLAW051	კრიმინოლოგია	X	X	
75.	BLAW052	კრიმინალისტიკა	X	X	
76.	BLAW065	სასჯელი და დანაშაულის სხვა სამართლებრივი შედეგები	X	X	
77.	BLAW066	სასჯელაღსრულების სამართალი	X	X	X
78.	BLAW069	კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა სისხლის სამართალში	X	X	
		პრაქტიკული უნარების სავალდებულო კომპონენტი			
79.	BLAW055	პროფესიული ეთიკა	X	X	X
80.	BLAW077	პრაქტიკული კურსი საჯარო სამართლში	X	X	X
81.	BLAW078	პრაქტიკული კურსი კერძო სამართლში	X	X	X
82.	BLAW079	პრაქტიკული კურსი სისხლის სამართლში	X	X	X

CIU
CAUCASUS INTERNATIONAL UNIVERSITY